საქართველოს პარლამენტის ბიუროს

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4 წევრის ოთხ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში წარმოდგენილი კანდიდატების საქართველოს პარლამენტის რეგალამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 219-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2017 წლის 6 ივნისის სხდომაზე განიხილა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ოთხ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდიდატურები და წარდგინებაზე თანდართული საბუთები.

კონკურსის გამოცხადების შედეგად, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის 34 კანდიდატი. კერძოდ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4 წევრის ასარჩევი კონკურსის კანდიდატები		
	სახელი, გვარი	წარმდგენი

1.	იგორ კოპალიანი	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი„ადამიანის უფლებები საზღვრების გარეშე“
2.	ვალერიან გავაშელი	1. არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „ინვალიდთა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ასოციაცია. 2. არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი რკინიგზელთა პროფესიული კავშირი 3. არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „უცხოელთა სამართლებრივი დაცვის ორგანიზაცია“
3.	ლევან გზირიშვილი	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „დემოკრატიის ინსტიტუტი
4.	ქეთევან ბექაური	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „ახალგაზრდა ადვოკატები“
5.	ლევან ბერიძე	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის“ სახელმწიფო უნივერსიტეტი
6.	ლევან ჯოხაძე	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „.ვეტერანთა სამართლებრივი მომსახურება“.
7.	ირმა გელაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
8.	მაგული ლიპარტელიანი	ადვოკატთა ასოციაცია
9.	რაჟდენ კუპრაშვილი	ადვოკატთა ასოციაცია
10.	სულხან ონიანი	ადვოკატთა ასოციაცია
11.	შალვა ქურდაძე	შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი"
12.	იოსებ ვარძელაშვილი	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „კავშირი SOS თანადგომა“
13.	ნოდარ პაპუკაშვილი	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
14.	თეა ჯუღელი	შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი“

15.	ლალი გზირიშვილი	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „სამართლის რწმენა“
16.	პაატა ტურავა	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
17.	ირაკლი დვალიძე	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
18.	მარინე კვაჭაძე	1. გრ.რობაქიძის უნივერსიტეტი. 2.ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
19.	ნინო ნიშნიანიძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
20.	ამირან ზენაიშვილი	შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი“
21.	ალექსანდრე ჩხიტური	შპს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი
22.	ინგა ბერიძე	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტი
23.	თამაზ კაპანაძე	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი“
24.	ირაკლი ჩხარტიშვილი	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „საზოგადოებრივი დამცველი“
25.	მაია ივანიძე	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი“
26.	ნაზიბროლა ჯანეზაშვილი	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერთა ჯგუფი“
27.	ზაზა ხარებავა	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“
28.	კახა წიქარიშვილი	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“
29.	დიმიტრი ხაჩიძე	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“
30.	გრიგოლ გაგნიძე	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“
31.	ავთანდილ კახნიაშვილი	შპს დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი
32.	ბესიკ სისვაძე	შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი
33.	ავთანდილ აბაშიძე	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

34.	ზურაბ აზნაურაშვილი	არასამეწარმეო (ა) იურიდიული პირი უცხოელთა სამართლებრივი დაცვის ორგანიზაცია

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2017 წლის 6 ივნისის ღია საკომიტეტო სხდომაზე განხილვის დროს მოუსმინა გამოცხადებულ კანდიდატებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის წარმოდგენილი კანდიდატების საბუთების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგორ კოპალიანის, ვალერიან გავაშელის, ლევან გზირიშვილის, ქეთევან ბექაურის, ლევან ბერიძის, ირმა გელაშვილის, მაგული ლიპარტელიანის, რაჟდენ კუპრაშვილის, სულხან ონიანის, შალვა ქურდაძის, იოსებ ვარძელაშვილის, ნოდარ პაპუკაშვილის, თეა ჯუღელის, ლალი გზირიშვილის, პაატა ტურავას, ირაკლი დვალიძის, მარინე კვაჭაძის, ნინო ნიშნიანიძის, ამირან ზენაიშვილის, ალექსანდრე ჩხიტაურის, ინგა ბერიძის, თამაზ კაპანაძის, ირაკლი ჩხარტიშვილის, მაია ივანიძის, ნაზი ჯანეზაშვილის, ზაზა ხარებავას, კახა წიქარიშვილის, დიმიტრი ხაჩიძის, გრიგოლ გაგნიძის, ავთანდილ კახნიაშვილის, ბესიკ სისვაძის, ავთანდილ აბაშიძის და ზურაბ აზნაურაშვილის კანდიდატურები აკმაყოფილებენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

რაც შეეხება ა(ა)იპ „სამხედრო მოსამსახურეთა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერნათა სამართლებრივი მომსახურების ცენტრის“ მიერ წარმოდგენილ ლევან ჯოხაძის კანდიდატურას კომიტეტზე განხილვის დროს არ იყო წარმოდგენილი ზემოაღნიშნული კანდიდატურის წარმდგენი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ ინფორმაცია, რომ კანდიდატურის წარმდგენი იურიდიული პირი ბოლო 2 წლის განმავლობაში ახორციელებდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას სასამართლოებში განხორცილებულ საქმეთა წარმოებაში და ასევე არ იყო წარმოდგენილი კანდიდატურის საქმიანი ბიოგრაფია. ამდენად, ლევან ჯოხაძის კანდიდატურის საბუთები ვერ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომიტეტმა შეამოწმა კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ფარული კენჭისყრით მიიღო დაასკვნა, რომ წარმოდგენილი 34 კანდიდატიდან 33 შეესაბამება რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო 1 კანდიდატი, ლევან ჯოხაძე, არ შეესაბამება პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის 219-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ იმ კანდიდატთა სიას, სათანადო დოკუმენტებთან ერთად, რომლებიც შეესაბამებიან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ეკა ბესელია

კომიტეტის თავმჯდომარე